ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3784527

ნომერი: AR1563813

თარიღი : 25.12.2017

გაცემის თარიღი : 23.01.2018

გაცნობის თარიღი : 23.01.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაკის რაიონი , ნაკვეთი 15/159 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ ალავერდაშვილი პ/ნ 01017013829
- თბილისი ალ.გრიბოედოვის ქ. N 1/3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 25 დეკემბრის #AR1563813 განცხადება.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 29 მარტის #AR1208259 განცხადების საფუძველზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების კ–1 და განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მომატებაზე საკითხი განიხილა "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისია"–ს 2014 წლის 03 აპრილის #13 სხდომამ, რომლის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე, მომზადდა ქ. თბილისის მერის 2014 წლის 14 აპრილის #850 განკარგულება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების კ–1 კოეფიციენტი განისაზღვრა კ–1=0.6–ით, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=2.6-ით, რაც გეცნობათ 2014 წლის 25 აპრილის №1210451 წერილით.

2015 წლის 9 მარტის #AR1287832 განცხადებით, სადაც ითხოვდით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას და ასევე ზემოთაღნიშნული მომატებული კ–1=0.6 და კ–2=2.6 კოეფიციენტების გამოყენებას, 2015 წლის 11 მარტის №1771565 გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ აღნიშნულ კოეფიციენტებს ვერ გამოიყენებდით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის, რადგან კოეფიციენტები მომატებული იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით. შემდგომ ამავე განცხადებაზე ისევ მოთხოვნილი იყო ინდივიდუალური საცხოვრებლი სახლი და ქ. თბილისის მერის 2014 წლის 14 აპრილის #850 განკარგულების ბათილად ცნობა, რის საფუძველზეც საკითხი განიხილა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"–მ, რომლის სხდომის წევრთა მიერ დაფიქსირდა უარყოფითი პოზიცია, აღნიშნული დოკუმენტის ბათილად ცნობაზე და 2015 წლის 26 მარტის №1804911 გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ უნდა განხორციელებულიყო ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გათვალისწინებით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების გათვალისწინებით ან წარმოდგედგინათ დასაბუთება და განაცხადის დახარვეზებულ ველებში დაგეფიქსირებინათ შესაბამისი მოთხოვნა ტერიტორიაზე მრავალბინი საცხოვრებელი სახლის განთავსების თაობაზე და ინფორმაციის დაზუსტების შემდგომ, წარმოსადგენი დასაბუთების საფუძველზე საკითხი კვლავ იქნებოდა წარდგენილი „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"–ს სხდომაზე განსახილველად.

2015 წლის 9 მარტის #AR1287832 ამავე განცხადებაზე თქვენს მიერ წარმოდგენილ იქნა დასაბუთება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე და სპეციალური ზონალური შეთანხმებისთვის უკვე მომატებული კ–1=0.6, კ–2=2.6 კოეფიციენტებით. საკითხი განიხილა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" სხდომამ, სადაც აღნიშნულ საკითხს გაეწია შემდეგი რეკომენდაცია, რომ წარმოდგენილ უნდა ყოფილიყო ახალი დასაბუთება, რომლის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო განვითარება შესაძლებელი გახდებოდა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2=2,0–მდე გადამეტების გათვალისწინებით, რაც გეცნობათ 2015 წლის 8 აპრილის №1825634 გდაწყვეტილებით.

2015 წლის 9 მარტის #AR1287832 განცხადებით თქვენს მიერ კიდევ ერთხელ იქნა ატვირთული სამსახურის მიერ მოთხოვნილი დასაბუთება სადაც ნათლად ჩანს, რომ მოთხოვნილია სამსახურის რეკომენდაციებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2=2,0–მდე მომატება, რის საფუძველზეც საკითხი განიხილა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"–ს 2015 წლის 16 აპრილის სხდომამ, რომლის დადებითი რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 24 აპრილის #2027 ბრძანება და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების კ–1 კოეფიციენტი განისაზღვრა კ–1=0.6–ით, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=2.6-ით. აღნშნულის გათვალისწინებით 2015 წლის 22 აპრილის №1851504 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ყოველივე ზემოთაღნიშნული გარემოება შესაძლებელია იხილოთ სამსახურის ვებ–გვერდზე www.tas.ge-ზე.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.